აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

8 ივნისი, 2018
თბილისი

საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციების განცხადება
ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ

ჩვენ, ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები, უკიდურეს შეშფოთებას გამოვხატავთ ბოლო პერიოდში ქვეყანაში განვითარებული პროცესების გამო. პროკურატურის მიერ ხორავას ქუჩაზე მოკლული სკოლის მოსწავლეების საქმის გამოძიებამ, და დამდგარმა განაჩენმა საზოგადოებაში უსამართლობის განცდა და მძაფრი პროტესტი გამოიწვია. საპროტესტო აქციები რთულ პოლიტიკურ პროცესში გადაიზარდა. იმისათვის, რომ ვითარება კიდევ უფრო არ დამძიმდეს, საჭიროა გადაიდგას სწრაფი და შემდეგი ქმედითი ნაბიჯები:

- ✓ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დროულად დაასრულოს გამოძიება, რომელიც მოხსნის ეჭვებს, არა მარტო დაზარალებულებისთვის არამედ გააჩენს საზოგადოებაში სამართლიანობის მყარ განცდას.

- ✓ დასჯის ყველა პირს, ვინც მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში, ასევე მფარველობდა დამნაშავეებს და მონაწილეობდა ნივთმტკიცებების გაყალბებაში. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების რიგით წევრებს, ჩვენს მოქალაქეებს, არ ჰქონდეთ იმის განცდა, რომ მაღალი თანამდებობის პირები და მათი ოჯახის წევრები სარგებლობენ სამართლებრივი იმუნიტეტით.

მიგვაჩნია, რომ არა მარტო გენერალური პროკურორი უნდა სარგებლობდეს მაღალი რეპუტაციით, ასევე მთლიანად პროკურატურის ორგანოები. ეს ნიშნავს იმას, რომ მნიშვნელოვანია პროკურატურის ორგანოების სერიოზული რეფორმა, რათა როგორც მთავარი პროკურორი, ისე პროკურორები თავად არ იქცნენ კანონდამრღვევებად და არ მოხდეს მათი მარლთსაწინააღმდეგოდ მართვა.

ასევე იმედს გამოვთქვამთ, რომ საპარლამენტო საგამოძიებო კომისია იმუშავებს ეფექტურად, მათ შორის უზრუნველყოფს პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონსტრუქციულ ჩართულობას. ვფიქრობთ კომისია არა მარტო ნათელს მოჰფენს ვითარებას,

არამედ, სააშკარაოზე გამოიტანს იმ ფუნდამენტურ ხარვეზებს, რომელიც დღეს არსებობს პროკურატურაში და ბიძგს მისცემს პროკურატურის ორგანოების ღრმა სისტემურ რეფორმებს.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1. ლიბერალური აკადემია თბილისი
2. თავისუფალი არჩევანი
3. ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
4. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
5. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
6. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
7. საქართველოს პრესის ასოციაცია
8. ფოდნი კავკასიის ეკოლოგია
9. ახალგაზრდული ალტერნატივა
10. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"
11. საქართველოს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
12. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
13. საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
14. ასოციაცია "გადავარჩინოთ მომავალი თაობა"
15. აფხაზეთი- ჩემი სახლი
16. ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
17. საზოგადოებრივი დამცველი
18. თომას ჯეფერსონის ცენტრი
19. საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითრების ცენტრი
20. ფონდი ”სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი”
21. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის
22. საზოგადოებრივი განვითარების აკადემია
23. თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი
24. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითრების ცენტრი
25. კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის
26. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი
27. მეწარმე ქალთა ფონდი
28. სტუდია რე
29. ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება

30. ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია
31. საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრი
32. ჩართულობის და განვითარებოს ცენტრი
33. ასოციაცია „ათინათი"
34. საქართველოს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
35. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა
36. ცენტრი "ემპათია"
37. საერთო სამოქალაქო მოძრაობა ”მრავალეროვანი საქართველო”
38. ასოციაცია 'მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"
39. ჟურნალისტური კვლევის ცენტრი
40. მწვანე ალტერნატივა
41. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
42. სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
43. კონსტიტუციის 42-ე მუხლი
44. ასოციაცია"ქალი და ბიზნესი"
45. ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია
46. ასოციაცია "მერკური"
47. სკოლა-ოჯახი-საზოგადოება
48. საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი
49. ასოციაცია „ტოლერანტი“
50. კულტურულ ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმი"